საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

ახვლედიანი დარია გიორგის ასული

დ. ახვლედიანი

ახვლედიანი (ქალიშვილობის გვარი ქაჯაია) დარია გიორგის ასული (25. V. 1873, სოფ. ჭაგანი, ახლანდ. სამტრედიის მუნიციპალიტეტი, – 17. V. 1941, თბილისი), პოეტი.

სწავლობდა ქუთ. საქალაქო გიმნაზიაში. აქტიურად იყო ჩაბმული „მესამე დასელთა“ წრეში; 1905 რევოლუციის დროს ავრცელებდა პროკლამაციებს. მონაწილეობდა თბილ. სახ. აუდიტორიისა და ჟურნ. „ნაკადულის“დაარსებაში. 1909 რედაქტორობდა გაზ. „გუშაგს“. პირველი ლექსი „არ მსურს“ გამოაქვეყნა „კვალში“ 1901 (№ 17) დარია ხუნდაძის ხელმოწერით. ა-ის ესკიზები, საბავშვო მოთხრობები ქვეყნდებოდა 1905 – 07 ჟურნ.-გაზეთებში („ლამპარი“, „ახალი სხივი“, „კვალი“, „თეატრი და ცხოვრება“). მისი ლექსები შევიდა 1908 გამოქვეყნებულ კრებულში „საამდროვო სიმღერები“. ა. არის ავტორი ლექსების ერთადერთი კრებულისა „სევდის ჰანგები“ (1912).

ლიტ.: ჩ ი ხ ლ ა ძ ე ნ., ქართველი მწერალი მოღვაწე ქალები, თბ., 1989.

ნ. ჩიხლაძე